



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

### გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

#### და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N 28

ქ. გარდაბანი



15/08/2022

28-06-4-202208151458

#### გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ვ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

#### მუხლი 1

დამტკიცდეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება დანართის შესაბამისად.

#### მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 თებერვლის №14 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)), 19/02/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.161.016393).

#### მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 16 სექტემბრიდან.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე